



21 ივნისი, 2011 წ.

მოქალაქეთა რეკომენდაციები საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით

გურჯაანი, ბორჯომი, ბოლნისი, მარნეული, ახალციხე და თელავი

“სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ განაგრძობს საჯარო დებატების გამართვას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, საარჩევნო საკითხებთან მიმართებაში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით. 2011 წლის, 30 მაისი - 12 ივნისის განმავლობაში ორგანიზაციამ ჩაატარა **ექვსი** საჯარო დებატი საქართველოს **ექვს** მუნიციპალიტეტში, რომელსაც დაესწრო სულ **459** მოქალაქე. შეხვედრები გაიმართა **გურჯაანში, ბორჯომში, ბოლნისში, მარნეულში, ახალციხესა და თელავში**, სადაც „სამართლიანი არჩევნების“ და სამი პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციის (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, ახალი თაობა ახალი ინიციატივა) წარმომადგენლებმა ადგილობრივ მოსახლეობას გააცნეს არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთობლივი რეკომენდაციები საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. შეხვედრებზე დამსწრე საზოგადოებამ გამოხატა საკუთარი მოსაზრებები და იდეები, და წარმოადგინა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით რეკომენდაციები. იხილეთ დებატებზე გამოკვეთილი ძირითადი რეკომენდაციები, შეხვედრების მიხედვით:

გურჯაანი, 30.05.2011

შეხვედრას ესწრებოდა **83** მონაწილე. რეკომენდაციები - გადაიხედოს საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი, რათა უზრუნველყოფილი იქნას პროცესის საჯაროობა და გამჭვირვალობა; საარჩევნო ადმინისტრაცია დაკომპლექტდეს მხოლოდ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებით; განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ამომრჩეველთა სიის დახვეწაზე; საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს მხოლოდ პროპორციული სისტემით.

ბორჯომი, 31.05.2011

შეხვედრას ესწრებოდა **73** მონაწილე. რეკომენდაციები - კანონმდებლობით დარეგულირდეს მას მედიის როლი არჩევნების დროს და შეიზღუდოს რიგი მედია საშუალებების მიერ პროცესის მიკერძოებული და არაობიექტური გაშუქება; დადგინდეს ამომრჩეველთა სიების გაუმჯობესებაზე მომუშავე და შესაბამისად, მასზე პასუხისმგებელი მხოლოდ ერთი ორგანო, რომელიც სისტემატურად იმუშავებს სიების გაუმჯობესებაზე; კანონმდებლობით შეიზღუდოს წინასაარჩევნო პერიოდში საჯარო მოხელეთა მხრიდან საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა.

ბოლნისი, 07.06.2011

შეხვედრას ესწრებოდა **67** მონაწილე. რეკომენდაციები - გადაიხედოს საარჩევნო დავების განხილვის წესი და გაიზარდოს საჩივრის შეტანისა და განხილვის ვადები; დაზუსტდეს პასუხისმგებლობის ზომები საარჩევნო უბნებზე ჩადენილ კანონდარღვევებთან დაკავშირებით; გამარტივდეს შემაჯამებელი ოქმებისა და სხვა საარჩევნო დოკუმენტაციის შევსების წესები; საარჩევნო კანონმდებლობით დარეგულირდეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს სამხედროთა მონაწილეობა; შეიზღუდოს პოლიტიკურ პარტიათა წევრების სისტემატური ცვალებადობა საუბნო საარჩევნო კომისიებში.

მარნეული, 08.06.2011

შეხვედრას ესწრებოდა **62** მონაწილე. რეკომენდაციები - კანონმდებლობით აიკრძალოს სამხედროებისა და ძალოვანი სტრუქტურების მონაწილეობა არჩევნებში; შეიცვალოს საარჩევნო სისტემა იმგვარად, რომ მოხდეს გამგებლების პირდაპირი წესით არჩევა და გაუქმდეს მაჟორიტარი დეპუტატები; კანონმდებლობით შეიზღუდოს სკოლის შენობებში საარჩევნო უბნების განთავსება; გაიზარდოს საჩივრის შეტანისა და განხილვის ვადები.

ახალციხე 09.06.2011

შეხვედრას ესწრებოდა **70** მონაწილე. რეკომენდაციები - წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში კერძო რესურსი (მაღაზიები, კერძო საკუთრებაში არსებული შენობები, ა.შ.) ხელმისაწვდომი იყოს ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის, ან საერთოდ აიკრძალოს ნებისმიერი პოლიტიკური პარტიისთვის; საარჩევნო საგანმანათლებლო პროგრამა/სალექციო კურსი სავალდებულო გახდეს ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტისათვის; არჩევნებში მონაწილეობა, ანუ ხმის მიცემა გახდეს სავალდებულო; გადაისინჯოს და დაზუსტდეს ამომრჩეველთა სიები.

თელავი, 10.06.2011

შეხვედრას ესწრებოდა **104** მონაწილე. რეკომენდაციები - შეიქმნას ამომრჩეველთა სიის ერთიანი ბაზა, რაც უზრუნველყოფს სიების გაუმჯობესებას; სიების დახვეწის მიზნით შეიქმნას სპეციალური ჯგუფი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში იმუშავებს ამომრჩეველთა სიის გაუმჯობესებაზე. ჯგუფში მომუშავე ადამიანები უნდა იყვნენ მხოლოდ ამ სამსახურით დაკავებულნი; საარჩევნო კანონმდებლობით გაიწეროს ჩადენილი დარღვევების სიმძიმის შესაბამისი სანქციები.

„სამართლიანი არჩევნები“ კვლავაც განაგრძობს საქართველოს ამომრჩევლებთან შეხვედრებს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში, რათა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად მოახდინოს ფართო საზოგადოების ინფორმირება საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით. ამასთან, ამომრჩევლისგან მიღებულ რეკომენდაციებს რეგულარულად წარუდგენს ყველა დაინტერესებულ მხარეს.

ამ პრეს რელიზის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“, USAID-ის მეშვეობით. გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის მხოლოდ „სამართლიან არჩევნებს“ და შესაძლოა, არ გამოხატავდეს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდს, USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

